# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 526

დამატების № 94

კვირა, 13 მარტი 1916 წ.

## მუნე-სიული საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი



მეფე ოიდიპოს.



ჰამლეტი.

(იხ. დღევანდ. გაზეთი)

## მუდარა

ცხარე ცრემლისგან დაგიგუბებ ტბას მოლივლივეს,
ვნებულ მკერდიდან გამოგიჭრი ცქრიალა ნავსა;
მსხვერპლად შეგწირავ, განაცვალებ ჩემს ყოველივეს,
მონად, მორჩილად გამსახურებ მგოსანი თავსა...
ცეცხლით დაგიწვავ წამებულს გულს მუშკამბარათა,
ძაძას მოგიქსოვ სულის სიმით მოსასხმელად;
ტანჯულ ოცნებას ცას ვალოცებ შენთვის მარადა.
ძალთა მძლეველად გარდაგაქცევ ცხოვრების ველად...
ზღაპრულ სამეფოს აგიყვავებ ჩემ სიყვარულში,
ჩემს სალოცავში გაგაღმერთებ უკვდავად ქციულს:
ოღონდ მეჩვენე თავისუფლად ბედის უფსკრულში
და ძველი ცოდვა აზღვევინე მტერს ძალმილეულს...

კიკნა-ფშაველი.

## გაზაფხული

გაზაფხულდა... ცის კიდურზე ფრთა გაშალა სხივთა ალმა,
და შემოსა ზურმუხტისფრად ტყე-მინდორი ძალთა ძალმა,
ზამთრის სუსხის სალტე-ზღუდე დაამსხვრია, ასამარა,
ცას ახადა შავი რიდე... გაკრიალდა ცის კამარა!

ღრუბელთ ქულა რამს აპკურებს ბუჩქ-ბალახთა რხევა-შრიალს;
ნანათ ისმენს არე-მარე ფრთოსანთ გუნდის სიმთა წკრიალს.
მზის სხივები მთის მწვერვალზე ოქროს მძივად აჰყვრიალდა,
ფრთა შესხმული შვების წამი მწვანე მოლზე გასრიალდა.

სოსანს სძინავს, ვარდი ჰყვავის, ია ზამბახს თვალს უშვრება;
ყვავილთ ჯგუფი სურნელს აკმევს, პეპლა მის იმხით თვრება.
ჰხარობს, ჰყვავის კიდით-კიდე.. ცით სამოთხე გადმოსულა;
მაგრამ ჩემი გაზაფხული ჯერაც კიდევ არ მოსულა!

ის შორს არის... ოდნავ მოსჩანს... სწვდება მხოლოდ მას ოცნება;
ფრთებს ჰშლის, როგორც ალთა შხეფი, შავ-ბნელ წყვდიადს ეომება.
ის არს ჩემი გაზაფხული, მას მოველი გულის ძგერით,
მას ვუგალობ, მას ვუმღერი, მსხვერპლსა ვსწირავ ჩანგის ჟღერით!

დ. კუხისპირელი.

## გრძნობის ჩანგი

ხან სევდიანს ხან მომღიმარს ხელთ მიპყრია გრძნობის ჩანგი,
და ზედ ისმის ორხმოვანი ხან სევდის, ხან შვების ჰანგი;
ხან ბანს ვაძლევ, ხმას ვუერთებ მომავალის ტკბილ მოძახილს
ხან ყურს ვუპყრობ კვნესა-გმინვას, ერის გლოვით გამოძახილს.

სული შფოთავს, გული დაჰკვნესს ძირს დაცემულს მაშვრალთ ბედსა,
ზიზღით გასცქერს მონის ხუნდებს, მონისავე განაჩედსა;—
წელში მოხრილ შრომის შვილებს დაჰხარხარებს მჩაგვრელთ გროვა,
და ბუნების სარეცელზე ჰხარობს სტკბება მგელ-კაცთ ხროვა!

სოფლის შხამით განამწარი ცისკენ ვილტვი მიწის შვილი:
მსურს დავაშრო ცრემლის გუბე, მსურს გავწყვიტო ჯაჭვი მსხვილი!
კაცთა სურათს თავს ვანებებ, თვალს ვუმტერებ ტყეს და ველსა,
ის კი მხოლოდ სისხლს მიჩვენებს, მიორკეცებს შხამ-ნაღველსა!

მაგრამ ამდროს გამიტაცებს სხვა ოცნების ტახტრევანი,
გულს აღმოხეთქს სხვა იმედი, სულ სხვა გრძნობის შადრევანი,
სული ჰხედავს შვების წალკოტს, თვალწინ მიდგას გარდაშლილი;
მოიმღერის მომავალი, სხივის ფრქვევით ფრთა გაშლილი!

მოვალ, მომაქვს ახალი დრო დასათრგუნად მტარვალთ გუნდის,
სხივის კონა ჩაგრულთათვის—დასამსხვრევად მძიმე ხუნდის!
გულს გონება სალამს უძღვნის, ამუსიკებს გრძნობა ენას,
ჰფრენს ოცნება და ულოცავს სულსაც შვების აღმაფრენას!

ამ იმედით აყვავებულს ხელთ მიპყრია გრძნობის ჩანგი
და ზედ ისმის ორხმოვანი ხან სევდის, ხან შვების ჰანგი!

დ. კუხისპირელი.

# ძველი საქართველო

(პატრი მიხეილ თამარშვილის კოლლექციიდან).




**ᲛᲔᲤᲔ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲘ** სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრების დროს.



ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ.

# მილანო

(სერბიული. 1848 წლის ეპიზოდი).

**ჯ. იაქშიჩისა.**

1848 წელს სერბიამ თითქმის მთელი თავისი ერის პირით ხმამაღლა წარმოსთქვა: „თავისუფლება ან სიკვდილი“-ო!!

ეს სიტყვები ცოტა არ იყოს არ ეჭაშნიკათ გერმანელებს და უფრო ნაკლებ ეფონათ გულს ჰუნგრელებს.

—„რაო?.. სთქვეს მათ, განა მონებსაც აქვთ უფლება თავიანთ მურტალ ენაზე წარმოსთქვან ის სიტყვები, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის?!.. ჰუნგრელი გრაფები, გერმანელი ბარონები... რასაკვირველია მათთვის შესაძლოა თავისუფლება! იმათ აქვთ ნება ბატონობის!.. მაგრამ ვალახნი (რუმინელნი), ხორვატნი, სლოვაკნი, სერბნი... ჰა, ჰა, ჰა!.. ეს მონანი წმ. სტეფანოსის გვირგვინისა მხოლოდ იმიტომ არიან შექმნილნი, რომ ულოლიავონ და ფეხები ულოკონ ორ გაბატონებულ ერს—გერმანელთ და ჰუნგრელთა!!!..



ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲗᲘ.

ასე ამბობდნენ შემავიწროებელნი და დამპყრობნი სერბიელი ხალხისა და გაბრაზებულ სერბების წინააღმდეგ გაჰგზავნეს თავიანთი ჯარი, რომ ებუგათ სერბთა სახლ-კარი, ექლიტათ ისინი, დაემორჩილებინათ... მორჩილი ჯარის-კაცნიც ასრულებდნენ გულქვა ბატონთა სასტიკ ბრძანებებს: სოფლებს, რომელნიც ქედს არ იხრიდნენ მეფის დროშის წინაშე, ჰბუგავდნენ, ხალხს, ვინც ხმას აღიმაღლებდა თავისუფლების და სამართლიანობის სახელით, სასტიკად აწამებდნენ და შემდეგ უბედურთ, გვემულთ სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ სხვა მეამბოხეთა ჭკუის სასწავლებლად. ეკლესიებსაც კი, სადაც თმა შეთეთრებული მსახურნი ღვთისა გაჰბედავდნენ უფლის მსახურებას სლავიანურ ენაზე, ჰბილწავდნენ, სწვავდნენ... ყველგან, ყოველს კუთხეში დაცარიელებულ ქვეყნისა თვის კვალი დაეტოვა ძალადობას, ველურ სიბოროტეს და უსამართლობას!.. დადგა ქალაქ კიკინდეს ჯერიც. გაუმაძღარ ბატონს აქაცა სურდა სისხლის სანახაობა დაეტრიალებინა, რომ ამ ქალაქშიც მოეკლა თვისი წყურვილი შურისძიების, მრისხანების და გაცოფებისა...

სოფლელთა პატარა ჯგუფმა გარდასწყვიტა მტერს შებმოდა. სულ ორას-სამასი კაცი იქნებოდა. მთელი იმათი იარაღი ცელები იყო, ორი-სამი სანადირო თოფი და შეგნება, შეგნება, რომ ისინი სერბნი იყვნენ, სერბნი! იმათ წინაპართაც, პაპებს, პაპის პაპებს სძულდათ მონობის უღელი და თავისუფლებისათვის იხოცებოდნენ!

ამოდენა ხალხში მხოლოდ ერთ მოხუცებულს ეჭირა რაღაცა თეთრი ნაგლეჯი და სთხოვდა ხალხს, ურჩევდა—ჰუნგრელებს შეწყალება ვთხოვოთ, დავნებდეთ და თავს ნუ დავიღუპავთო.

— მერე შეიძლება მონობაში სიცოცხლე? დაიწყო ერთმა ახალგაზრდა სერბმა, რომელსაც ჰუნგრელებმა მამა ჩამოუხრჩვეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედა და სთქვა: ჰუნგრეთში... სერბიელებიცა სცხოვრობენო!..

— მერე სიცოცხლე! ეჰ, ბავშვო!—ეუბნებოდა მოხუცი. იმას სიცოცხლე უნდოდა, სიცოცხლე, თუნდა მონად ყოფილიყო. დაიქცევა ჩვენი დოვლათი, ჩვენი ცოლ-შვილი დაიღუპება!..

— დეე დაიღუპოს ყველაფერი! წამოიძახა ჭაბუკმა, რომელსაც მადიათა ძალადობამ უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი აღუნთო სასტიკ შურის საძიებლად. დეე ყველაფერი დაიღუპოს! დავიღუპოთ ჩვენც!.. მაგრამ ჩვენმა სისხლმა დაანახვოს ქვეყანას, რომ არის სერბების მიწა-წყალიც, ის მიწა-წყალი, სერბიელთა სისხლით რომ არის მორწყული!..

ამ დროს ჰუნგრელთა ჯარიდან მოვიდა პარლამენტერი (მოციქული). და გულ-მოწყალედ უთხრა:

— დაგვნებდით სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მოწყალება-უმოწყალობაზეო.

ხალხი სოუმდა, ვით მუნჯი; კრინტი არავის დაუძრავს. მხოლოდ იმავე მოხუცებულმა, ხელში რომ თეთრი ნაგლეჯი ეჭირა, წაიფუჩუნა:

— მე... მე... გნებდებით!..

მაგრამ ვილამაც ხელიდან გამოსტაცა თეთრი ნაგლეჯი და ერთხმად იგრიალეს:

— ჩვენ არ გნებდებით, არა!..

აღშფოთებული წავიდა მოციქული. ამ ერთ მუჭა ხალხს იარაღიც კი არ გააჩნდა და მაინც ჰბედავდნენ წინააღმდეგობას.

# აკაკის სახელობის საბავშო ბაღი



ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში.



ძ ე რ წ ვ ა.

აგრიალდნენ ზარბაზნები და ყოველს გასროლაზე ბოლის ტალღებიდან აჭოვარდებოდა ხოლმე ალი—სახლების გაფიცხებული ყავარი იწვოდა. წამოესივნენ ჰუსარები, დარწმუნებული—ეს „სერბიელი თაგვები“, დაინახავენ თუ არა ხანჯლებს ჩვენ ოქრომკედიან ქურთუკებზე, ხმლებს, დამბაჩებს, ყარაბინებს—მოძურწავენო...

მაგრამ შესცდნენ. ესკადრონის კაპიტანს ცელით თავი გაუპო იმ ჭაბუკმა, რომელსაც მამა ჩამოუხრჩვეს.

— ეგეც შენ მამაჩემის სულზე! ამბობდა გაცოფებული ჭაბუკი და უნდოდა ორად გაეპო მეორე ჰუსარიც, მაგრამ იმისი ცხენი ყალხზე შედგა და მხედარს თავის მკერდი აafარა. ალმასმა ცელმა აფიცერს სახეზე ჩამოუქნია და ცხენის ყელი ორად გაჰყო. იმ თავგანწირულ ჭაბუკის მიხედვით იბრძოდა ყველა და უკვე მრავალი გასისხლიანებული მებრძოლი ეყარა კიკინდეს წინ ამწვანებულ მინდორზე.

ჰუსარებს ქვეითი ჯარი მოსდევდა ფეხ და ფეხ. „ესროლეთო!“ უბრძანა ბათალიონის უფროსმა და ასეულმა თოფმა ორჯელ ზედიზედ იგრიალა... ბოლი რომ გაიფანტა, ერთი მუჭა მედგარ მებრძოლთაგან აღარავინ გადარჩენილიყო და მხოლოდ ის მოხუცი, დაჭრილი ჰყვიროდა:

— შემიბრალეთ... მოიღეთ მოწყალება... მე გნებდებით, გნებდებით... მარტო მე ვიყავი ჰუნგრელების მხარეზე!..

კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ერთმა ახალგაზრდა ჯარის-კაცმა ხიშტი ჩასცა ჰუნგრელთა პარტიის წევრობაზე. მკვდარს ძეწკვი მოხსნა, ჯიბეში ფული უპოვა, დინჯად, მზრუნველობით გადაალაგა თვის ოქრომკედიან ქურთუკის ჯიბეში და შემდეგ გინებით მიუბრუნდა მიცვალებულს:

— შენ ჰუნგრელებს დაჰნებდი, მაშასადამე მე, როგორც ღვიძლი ჰუნგრელი, შენი კანონიერი მემკვიდრე ვარო!..

—

ალვირ-ახსნილი, გაცოფებული ჰუნგრელნი, რომელნიც ჩვეულნი არ იყვნენ წინააღმდეგობას, როცა სადმე შეესევოდნენ, ეხლა გახელებულიყვნენ, ქუჩას ქუჩაზე ანიავებდნენ, სახლს სახლზე სძარცვავდნენ და კიკინდეს ერთი ბოლოდან მეორესკენ მიექანებოდნენ. შენობები, სახლები ცეცხლში გუგუგურებდა, ვინც კი წინ შემოეყრებოდათ, უმოწყალოდ ჰკლავდნენ... მონღოლთა შთამომავალნი სცდილობდნენ დაემოწმებინათ სისხლის ნაკვალევით, რომ იმათ ძარღვებში სჩქეფდა წინაპართა სისხლი...

მაგრამ ქალაქის განაპირა უბანში, ერთ პატარა ქუჩაზე ძვირად დაუჯდათ თავიანთ ვერაგობა. ერთ პატარა სახლში, ქუჩისაკენ ორი ფანჯარით რომ გაიყურებოდა და ჩალეწილ მინების მაგიერ ქაღალდი ჰქონდა გაკრული, სამი კიკინდელი შემალულიყო, სამი, წარბ შეჭმუხვნილი ვაჟკაცი. თვალებში შურისძიების ცეცხლი ენთოთ, ხელში გრძელი თოფები ეჭირათ და მზად იყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის. ოთახის მეორე კუთხეში კი, აკვანში ეძინა ორი წლის ბიჭუნიას.

— ეს ლაპი სადღა წავიყვანო თორემ კიდევ ჰო!—ამბობდა გრძელულვაშიანი კაცი. დედამ მიატოვა იმ საზიზღარმა: თავის ღვიძლ ძმებთან გაიქცა, ჰუნგრელებთან. მიმანება თავი, მიაგდო თავისი ბავშვი!.. მაგრამ მე არ დაგანებებ, შვილო, თავს; მე არსად მაქვს გასაქცევი. აქ, შენი აკვნის გვერდით დავიღუპები!..

— ნუ გეშინიან, ძმაო ანდრო, ამხნევებდა ორი ამხანაგი. ბევრი თავი გაგორდება, ვიდრე ჩვენებს მოგვათლიდნენ!..



ჯ.-კ ერმილე სკამკოჩიშვილი (მოკლულია).



სახალხო მასწავლებელი ტ.-ხონ ქეიშვილი (დაჭრილია).



ჟიტომირში მოხვედრილი ქართველები:
სხედან: პრაპ. ვალერიან მიქაშავიძე ექიმი პროკლე მილორავა, საერობო კავშირის რწმუნებული ივანე კარგარეთელი, პრაპორ. თედორე ჰფანდკე.
დგანან: პრაპ. ერმილოზ კალანდარაშვილი, პრაპ. ალექსანდრე ბრეგვაძე. ექიმი ივანე უჯმაჯურიძე და სტ. გიორგი ხუნგია.



პრაპორ. ანტონ ექვთიმეს ძე პლეშაკოვი (დაჭრ. ოსმ. საზღ.)

შუა ოთახში გამოათრიეს მაგიდა, გადააბრუნეს და პირი ფანჯრებისკენ უყვეს.—ჩვენ ერთი ფანჯარაც გვეყოფა, ამ ერთს კი ავაფაროთ, რომ ბავშვს არა ევნოს რა, როცა სროლას დაიწყებენო.

ანდროს რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ გაკმინდა ხმა და ყური მიუგდო.

— ჰუნგრელები მოდიან, მოდიან! წაჩურჩულა მან და თოფი მოიმარჯვა. იქვე ახლოს ელვასავით გაიქროლა ჰუსართა რაზმმა; არც კი მოუხედნიათ ამ სახლისკენ.—აქ აბა რა საქმე გვაქვსო, ვინ იქნებაო, გაიფიქრეს გულში. მაგრამ იგრიალა ანდროს თოფმა და უკანა რიგში ერთი ჯარის-კაცი ძირს გაგორდა. თოფის ხმაზე ცხენოსნები შესდგნენ. რამდენიმე ქვეითი ჯარის-კაციც მოემატათ. არც იმათ ჰქონდათ იმედი ამისთანა უდაბნო ალაგას თუ წინააღმდეგობას გაუწევდა ვინმე. აქეთ-იქით გაიფანტნენ და ღობიდან ანდროს სახლში შეიხედეს. თოფის სროლა გრძელდებოდა, მაგრამ ჯარის-კაცთ უუფროსოდ ვერ გაებედნათ მოქმედება. უცებ ერთი როტა ჯარის-კაცი წამოადგათ თავს.

— დაგვნებდით, დაგვნებდით! დაუყვირა უფროსმა.

პასუხად კვლავ თოფებმა იგრიალეს. ჰუნგრელები ეცნენ სახლს, ასტყდა თოფის სროლა. ბოლო რომ გადაიყარა, ოთახში სამი ჯიუტი სერბიელი ეგდო განგმირული. ორი პირქვე იწვა მესამე აკვანთან იყო და სუსტად უსვამდა ხელს პატარა საბანს. ეტყობოდა, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

— ჰა, ეს ცოცხალია, ესროლეთ! დაუყვირა უფროსმა.

გაისმა სროლა, აკვანში ბავშვმა დაიკვნესა... უფროსი, რომელსაც ცოტა კაცთმოყვარეობა შერჩენოდა კიდევ, შევარდა ოთახში, საშინელი სურათი წამოუდგა თვალწინ: მამა თავდაჩეჩხილი ეგდო უძრავად, აკვანში კი ბავშვი სისხლში სცურავდა გადაფითრებული და დიდი, ცისფერი თვალი მკვლელისათვის მიეპყრო... უფროსმა ის ხელში აიყვანა, ჭრილობა გაუსინჯა, ცხვირსახოცით შეუხვია და გარედ გამოიყვანა, გააფთრებულმა ჯარის-კაცებმა კი სახლის სახურავს ცეცხლი მისცეს.

შიგ ქალაქში, ე. ი. საუკეთესო ნაწილში ჯარის-კაცებს აღკრძალული ჰქონდათ ცეცხლის წაკიდება, ხოლცა: იქ ხომ გერმანელები სცხოვრობდნენ, ებრაელები, სერბიელი მოხელენი—ესენი კი ერთგულნი იყვნენ ჰუნგრელებისა... იქ წავიდა უფროსი და დაჭრილი ბავშვი სახლიდან სახლში დაჰყავდა... ხალხი არავითარ სიბრალულს არ იჩენდა! ებრაელებს ეშინოდათ—ქრისტიანის ბავშვი არ იყვესო, ქრისტიანები ჰფიქრობდნენ: ვაი თუ ებრაელის იყვესო!..

—

ამავე ნაწილში ერთ მდიდრის სახლში ღია ფანჯარასთან იდგა საოცარი სილამაზის ქალი. იგი გულაჩუყებული ადევნებდა თვალს ხშირ კვამლს, ხან რომ შავი ღრუბელივით მაღლა-მაღლა წავიდოდა, ხან კი ძირს ეფინებოდა და მტვერს და ნაცარს შერეული ქარს გაჰქონდა აქეთ-იქით.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!—ოხრავდა მზეთუნახავი,—შეიბრალე ეს უბედური ხალხი!

ხოლო როცა შორიდან კვლავ მოესმოდა თოფის ხმა, იგი, თითქოს დაჭრილიაო, ნაცრისფერი ბაგით ჩურჩულებდა:

— ოჰ, კიდევ დაიღუპა ვიღაცა, კიდევ!

როცა იმის ოთახში უცებ შემოვიდა როტის უფროსი, ქალი გაფითრდა და იდგა, ვით მარმარილოს ქანდაკება, შიშისაგან სიტყვა ვერ დაეძრა. უფროსი კი, იმის სილამაზით განცვიფრებული, ეუბნებოდა აღელვებული:

— Engedelmet tes aszony!... გევედრებით, მაპატიეთ, მაპატიეთ! მე მოვედი თქვენსა აი ამ სერბიელი ბავშვის, დაჭრილი ობოლის გამო.

— დაჭრილი, სერბიელი ბავშვი?!..

— დიახ, სერბიელი ბავშვია!.. ობოლი!.

— მერე დედა სადღა ჰყავს? ან რა იქნა მამა?..

— მამა დაიღუპა, დედა კი უეჭველია სულ არა ჰყავდა!

— ოჰ, ღმერთო! წამოიყვირა ქალმა, სიბრალულით შეჰყრო, ბილი და ცრემლი მოსკდა მშვენიერ თვალებიდან. ოჰ, მერე სად მიგყავთ ე დაჭრილი, სად? დასტოვეთ ჩემთან!

ბავშვი თვის სუსტ ხელებს უწოდებდა კეთილ, ლამაზ ქალს. უფროსმა ბავშვი გადასცა ხელში, თავი დაბლა დაუკრა და სახლიდან გამოვიდა, რომ ამ ერთი სიკეთის შემდეგ კვლავ განეგრძო თვისი ავაზაკური, სასტიკი საქმე.

ბავშვი ნელა, ძლივ-ძლივობით მრთელდებოდა ჭრილობისაგან. კეთილმა დედობილმა მას სახელად მილანო დაარქვა. მაგრამ ტანჯვამ და ავადმყოფობამ სამუდამოდ დაამჩნია იმის სახეზე ავადმყოფობის, სევდის ბეჭედი, უსიტყვოდ რომ გეუბნებოდათ:

„ობოლი ვარ, ობოლი, მარტოდ მარტო მთელს ქვეყანაზეო“!..

—

დიდი ხანია გათავდა ომიც, ამბოხებაც. ქალაქებმა, სოფლებმა, სახლებმა თავისი წინანდელი სახე მიიღო. ხალხმა დაჰყარა იარაღი და კვლავ შელესა, შეათეთრა სახლი, კოხი, თითქოს იმიტომ, რომ აღარ ემჩნეოდეს მათ ცეცხლისა და ბოლის ნაკვალევიო, დამშვიდდა ყველაფერი... მცხოვრებნი ყველა თავის თავის საქმეს შეუდგა, ყოველდღიური, დამშვიდებული სახით, რომელზეც თითქოს ნათლად წარწერილია მთავრობის მიმართ: „მე გადასახადი ყველა პირნათლად გიდვიხადე და მღვდელის ვალიც მოვიშორეო“.

მაგრამ პატარა ობოლის საქმე არ გამობრუნებულა. ჯერ შვიდი წლისაც არ იყო და იმის სახის ყოველ მოხაზულობაში გამოკრთოდა სევდა და ნაღველი!.. აბა შეჰხედეთ, როცა იღიმება: რაოდენი გამოუთქმელი ნაღველი მიმოჰქრის მის ბაგის ირგვლივ, რაოდენი, მის წლოვანების შეუფერებელი, ფიქრი და ბრუნვა ჩამალულა მის დიდრონ ცისფერ თვალებში! ასეთია ის ბავშვი და ასე ღრმად განიცდის თავის ობლობას!

ხანდისხან კიკინდეს სასამართლოს უფროსი სენატორები ერთობიან ამ ავადმყოფ ბავშვის არაჩვეულებრივი ამბით და ეკითხებიან:

— მილანო, ვისი ხარ შენა?

ბავშვი ნაღვლიანი შეჰხედავს და თვალში ცრემლი დაიწყებს კრიალს.

— რა ვიცი ვისი ვარ! უპასუხებს ის და მართლაც არ იცის არც მშობელი მამა, არც დედა.

— მერე, მილანო, დედა არა გყავს თუ?

— ოჰ, როგორ არა მყავს, მყავს, მაგრამ ვიცი, რომ დედას წაართმევენ ჩემს თავს. და ბავშვი მწარედ მოჰყვება სლოკინს.

— შენს თავს წაართმევენ? მერე, მილანო, ვის შეუძლიან შენი თავი წაართვას?

— მოვა როდისმე სხვა დედა, ოჰ, როგორი ავია, ბოროტი! მოვა და წამიყვანს, იტყვის—ჩემი ბიჭიაო!.. მაგრამ დედიკო ჩემს თავს არ დაანებებს და ჩემი დაიკო ჰაბრიელაც უჩემოდ იტირებს. ო, თქვენ არ იცით როგორ ვუყვარვარ მე იმას, როგორ ვუყვარვარ!.. ყოველ დროს, როცა დედა ვაშლებს ან კანფეტს მოგვიტანს, მეც მიწილადებს ხოლმე განა! რაც კარგია სულ მე მაძლევს! სათამაშოებს ხომ ხელსაც არ ახლებს, როცა შინ არა ვარ, ან და დასვამს სკამზე თავის დედოფალს და ეუბნება: მოიცადე, ჩემო პატარა დედოფალა, გენაცვალე, აი, მილანო მოვა სკოლიდან და ერთად ვითამაშებთ. მოგიმზადებთ მაშინ სიდილსაც და ვახშამსაცა...

ასე უამბობდა მილანო მოხუც სენატორებს ქალაქისას და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა გაყვითლებულ ლოყებზე.

— მამა, მილანო, მამა კი გყავს?

— მყავს!.. ო, არ იცით როგორი კეთილი მამა მყავს. არასდროს არ დაბრუნდება შინ, რომ სხვა და სხვა კარგი საჩუქრები არ მომიტანოს. უნდა ნახოთ როგორი კარგი ნივთები გვაქვს: წიგნები სულ ტყავის ყდებშია გამოწყობილი, ოქროს ვარაყიანი; სურათები, ყვავილები—ყველაფერი ისეთი მშვენიერია, რომ ცქერით ვერ გაძღებით... მამაც გაჯავრდება განა, როცა ის, სხვა დედა მოვა. მაგრამ ხანდისხან სადილობითაც ვერა სადილობს და მთელი ორი დღე ჩუმად არის ხოლმე...

იმდენი იფიქრა მილანომ თავის ვარამზე, რომ თვის ცხოვრების ამ მტანჯველმა საიდუმლოებამ თან გადაიტანა...

ერთხელ, ბავშვები რომ სკოლიდანა ბრუნდებოდნენ და ამინდიც ამრეზილი იყო, როგორც თებერვალშია ჩვეულებრივი ხოლმე, მილანოც მოცუნცულებდა შინ და ვიწრო ქუჩაში შეუხვია, რომ უფრო მალე მისულიყო. მაგრამ კუთხეში ერთი დედაკაცი სწვდა საშინელი სახის: დიდი ცხვირი ჰქონდა, ლაწვები ამოწეული, მრგვალი, ნადირივით თვალები. მაშინვე იცნობდით, რომ ის ჰუნგრულ-მონღოლურ ჩამომავლობის იყო.

დაინახა თუ არა მილანომ, დაიწივლა და უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ დედაკაცმა არ გაუშვა. ბავშვი წიოკობდა, ღრიალებდა, იწევდა მაგრამ მას გამხმარ ხელიდან ვერ გასხლტომოდა... ამ წიოკობაზე ბავშვები მოგროვდნენ, მოვიდა რამდენიმე კაციც. ერთმა მათგანმა, პატივსაცემ შეხედულობის კაცმა, დინჯად შეჰხედა დედაკაცს, ბავშვს და მკაცრი ხმით მიუბრუნდა პირველს: რა, რა გნებავს ამ ბავშვისაგან?

— ეს, ბატონო, ჩემი შვილია... მინდა ჩემთან შინ წავიყვანო. დეე ესეც ისეთივე მათხოვარა იყვეს, როგორც მე და არა პატარა ბატონი!

ქალს უნდოდა კიდევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ კაცმა ხელი ჰკრა, ბავშვი კი, შიშისა და ღელვისაგან რომ მთლად ცახცახებდა, მიუყვანა დედობილს.

— აჰ, რა დაგმართნია, მილანო, გენაცვალე, მილანო,—შეჰყვირა დედობილმა, ბავშვი რომ დაინახა,—რამ გაგაყვითლა მაგრე? ო, ჩემო ბიჭიკო, ჩემო!.. ზაფრანასავითა ხარ მიცვალებულსავით!—მილანო, მითხარი, გენაცვალე, რა გტკივა?—ნაზად ჰკითხავდა შეშინებული დედობილი,—სად უფრო გტკივა, აბა მითხარი, მითხარი?

მილანო სუსტი ხელით იმ ადგილზე უჩვენებდა, სადაც იმ რვა წლის წინ დასჭრეს ის ჰუნგრელებმა.

— წყეული, შეჩვენებული დედაკაცი!.. სტიროდა დედობილი; თვითონ მოჰკლა თავისი ბავშვი, თვითონ!..

—

მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. მინდვრად, ველად, ბაღებში ჰყვაოდა ყვავილები, სურნელებას ჰფანტავდა ვარდი და ფრინველთ გალობა ჩაებათ... მაგრამ მილანოს ლამაზ დედობილის ოთახში ყველაფერს ნაღვლიანი სახე მიეღო; მაგიდას შავი ქსოვილი ეფარა, ზედ დიდი სანთელი ენთო და თვის ყვითელ შუქით მიცვალებულ მილანოს სახე გაენათებინა. მიცვალებულის გვერდით დედობილი იჯდა, მწარე ფიქრებში გართული და ჩუმ-სუმად აცქერდებოდა იმის პატარა, ყვითელ, განაწამებ სახეს. პაწია მილანო, პაწია ობოლი! ასეთი სუსტი, ულონო ბავშვი და ასეთი მძიმე დრამა!.. პატარა გოგონა ჰაბრიელამ თავის დედოფალა შავებში გამოეწყო თავიდან ფეხამდე. ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე, რომ დაჰხედავდა წიგნებს, სათამაშოებს, რომლითაც ერთადა თამაშობდნენ ხოლმე, არ შეიძლებოდა არ ეტირნა...

— დედა, დედიკო,—ეკითხებოდა ის დედას,—მილანო ჩემთან სულ აღარ ითამაშეს?

— არა, შვილო, აღარასდროს, აღარასდროს! ჩემო გოგონა!..

**სანგანიძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.